ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4565465

ნომერი: AR1690408

თარიღი : 27.06.2019

გაცემის თარიღი : 02.07.2019

გაცნობის თარიღი : 10.07.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 37-39;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ იველაშვილი პ/ნ 01031004403
- თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 7ბ ბ. 49

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის 27 ივნისის AR1690408 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N37-39-ში არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრების მოწყობის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ფასადის, სახურავისა და სარეკლამო აბრების ზედაპირის ფართობის პროცენტული გაანგარიშება. გათვალისწინებული უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით განსაზღვრული ნორმები, კერძოდ: "საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%-ს";

2. ინტერაქტიურ რუკაზე მონიშნულია მხოლოდ N01.15.03.010.117.01.02.009 საკადასტრო; ვინაიდან სამუშაოები ეხება N01.15.03.010.117.01.02.010 საკადასტრო ერთეულსაც, საჭიროა აღნიშნულიც მონიშნული იქნეს რუკაზე;
3. ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული ფართების მოიჯარეა შპს „შიკ ბებე“ (ძველი სახელწოდება - შპს „Aleksandre by Barcelona“), რომლის დირექტორია ეკატერინე სადაღაშვილი, თუმცა დღეისათვის იჯარის ვადა გასულია და თუ მხარეთა შეთანხმებით საიჯარო ურთიერთობა გაგრძელებულია, წარმოსადგენია აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი საჯარო რეესტრში რეგისტრაციით;
4. წარმოსადგენია შპს „შიკ ბებეს“ დირექტორის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა;
5. წარმოსადგენია შპს „ბემონისა“ და შპს „ოაზისი 9“-ის თანხმობის დანართი სურათი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.